

ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სისტემის ხარვეზები და მშობელთა
მზრუნველობას მოკლებული ბავშვების უფლებრივი მდგომარეობა
საქართველოში

დალი გულუაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო
სამართლის და პოლიტიკის ფაკულტეტზე საჯარო სამართლის და პოლიტიკის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

ხელმძღვანელი: თამარ გურჩიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დალი გულუაშვილი

02.07.2022

აბსტრაქტი

ნაშრომი მოიცავს ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სისტემის ხარვეზების იდენტიფიცირებას და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის ანალიზს. კანონმდებლობის შედარებისა და საქართველოში არსებული პრაქტიკის კვლევის საფუძველზე წარმოჩენილია ქვეყანაში საკანონმდებლო ჩარჩოსა და არსებული რეალობის ხარვეზები.

ბავშვთა უფლებები ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სახელმწიფოებისათვის, რომლის დაცვაც გარანტირებულია როგორც საერთაშორისო, ასევე შიდასახელმწიფოებრივ დონეზე.

საქართველოში მწვავე პრობლემას წარმოადგენს დიდი ზომის ინსტიტუციური ზრუნვის დაწესებულებების არსებობა, სადაც ხდება მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა განთავსება. შედეგად კი, სახეზეა ბავშვთა არაერთი უფლების დარღვევა, რასაც ინსტიტუციებში არსებული მკაცრი რუტინა და კოლექტიური მიდგომა განაპირობებს.

კვლევის მიზანია დეინსტიტუციონალიზაციის რეფორმის შეფასება, სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვების უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა არსებული რეალობის გათვალისწინებით, ხარვეზების გამოვლენა, პრობლემის გადაჭრის გზების ძიება და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევისას გამოყენებულ იქნა ინდუქციური, ანალიტიკური, ემპირიული და შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდები, რაც მოიცავს სასამართლო გადაწყვეტილებების, კონკრეტული შემთხვევების, სახალხო დამცველის წლიურ ანგარიშების, სახელმძღვანელოების და სამეცნიერო სტატიების მიმოხილვას. ასევე, შედარებულ იქნა საერთაშორისო დოკუმენტები, სხვადასხვა ქვეყნისა და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული დეინსტიტუციონალიზაციის რეფორმა არ არის ეფექტური. არსებობას განაგრძობს დიდი ზომის ინსტიტუციები, რასაც ადასტურებს მართლმადიდებლური ეკლესიის

საკატორქოსთან და მუსლიმური თემის დაქვემდებარებაში არსებული სკოლა-პანსიონები. ამავდროულად, სკოლა-პანსიონებში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება არც ერთ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებს, უხეშად არღვევს ბავშვთა უფლებების ფართო სპექტრს და წინააღმდეგობაში მოდის ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან.

პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფო დაწესებულებებს შორის არასაკმარისი კომუნიკაცია, სოციალური მუშაკების სიმცირე, ძალადობის ფაქტებზე შესაბამისი ორგანოების დროული რეაგირების არქონა, ინფორმაციულობის დაბალი ხარისხი და მომსახურების გამწევი პირების არასათანადო სპეციალიზაცია.

ამ კვლევამ წარმოაჩინა საქართველოში არსებული მდგომარეობის სიმძიმე, რისთვისაც შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები და დაისახა პრობლემის გადაჭრის გზები, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვნად წაადგება მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა უფლებების დაცვას.

საკვანძო სიტყვები: ბავშვთა უფლებების დაცვა, მშობელთა მზრუნველობამოკლებული ბავშვები, ინსტიტუცია, დეინსტიტუციონალიზაცია, ალტერნატიული ზრუნვის ფორმები, კეთილდღეობის რეფორმა.

Abstract

The paper includes the identification of shortcomings in the childcare system and the legal analysis of children deprived of parental care. Present practical examples of the gaps in the legislative framework and the existing reality in Georgia.

Protecting children's rights is one of the priorities for states, with protection guaranteed at both the international and domestic levels.

The problem in Georgia is a large institutional care facility, where children are placed. As a result, several children's rights are at stake, with other institutions including a routine and non-individual approach.

The aim of the study is to assess deinstitutionalization reform, to study the legal status of children in care, to identify deficiencies, to find solutions and to make recommendations.

Experts performed by inductive, analytical, empirical and comparative-legal research method, which includes court decisions, specific cases, the ombudsman's annual reports, textbooks, and scholarly articles. International documents, different countries and domestic laws were also compared.

The study found that the deinstitutionalization reform implemented by the state is not effective. Large institutions have not been eliminated, others confirm the boarding schools under the auspices of the Orthodox Church and the Muslim denomination. At the same time, the situation in boarding schools does not meet the requirements of any international or domestic law, grossly violates a wide range of children's rights and conflicts with the best interests of the child.

The problem is the lack of communication in state institutions, the lack of social workers, lack of timely response of relevant bodies to incidents of violence, low level of information and inadequate specialization of service providers.

This study presented the gravity of the situation in Georgia, for which the relevant recommendations were developed and ways to solve the problem were identified, the

consideration of which will be of great help in protecting the rights of children deprived of parental care.

Keywords: protection of children's rights, orphans, institution, destitutionalization, forms of alternative care, welfare reform.

მადლობა

აღნიშნული ნაშრომის მომზადებაში დახმარებისათვის მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს თამარ გურჩიანს, რომელმაც საკუთარი რჩევებითა და წინადადებებით დახმარება აღმომიჩინა ნაშრომის წერის პროცესში.

აგრეთვე, მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს კოლეგებსა და მეგობრებს, რომლებმაც კვლევის პროცესში გამიწიეს დახმარება და არაერთი საჭირო რჩევა მომცეს.